

შპს ჯი ბი ჯი
ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს ჯი ბი ჯი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
საანგარიშგებო წლისათვის.

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „შპს ჯი ბი ჯი“ („ორგანიზაცია“) ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“-ის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის, მათ შორის სააღრიცხვო პოლიტიკის, ისეთი ფორმით წარდგენაზე, რაც უზრუნველყოფს შესაბამის, სანდო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- წარადგინოს დამატებითი განმარტებები, როდესაც ფასს-ის კონკრეტულ მოთხოვნებთან შესაბამისობა არ არის საკმარისი მომხმარებელს მიაწოდოს ინფორმაცია, რათა მისთვის ცხადი იყოს კონკრეტული ტრანზაქციების, სხვა მოვლენებისა და გარემოებების გავლენა „ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობასა და ფინანსური შედეგებზე“.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ორგანიზაციაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ორგანიზაციას ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ორგანიზაციას აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილ იქნა გამოსაშვებად 2022 წლის 30 ოქტომბერს.

შპს ჯი ბი ჯი
ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს ჯი ბი ჯი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	5255	840780	47228
სავაჭრო მოთხოვნები	311906	317079	1664561
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	1097188	802729	2392012
მარაგები	120220	515160	727623
სხვა მიმდინარე აქტივები	645409	15161	10
სულ მოკლევადიანი აქტივები	2179978	2490909	4831434
გრძელვადიანი აქტივები			
მიწის ნაკვეთები	24794	24794	24794
შენობები	1457891	1583231	561179
მანქანა-დანადგარები	222030	186570	158679
ოფისის აღჭურვილობა	17622	28664	26304
სატრანსპორტო საშუალებები	133990	133325	126261
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	26748	42346	25263
სულ გრძელვადიანი აქტივები	1883075	1998931	922482
სულ აქტივები	4063054	4489840	5753916
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	188058	47474	28214
საგადასახადი ვალდებულებები	69967	47059	50020
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	4235389	4200820	3524679
გამოუმუშავებელი შემოსავალი	253398	157914	648341
სხვა ვალდებულებები	0	2035	0
სულ ვალდებულებები	4746812	4455302	4251254
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	-683758	34538	1502662
სულ საკუთარი კაპიტალი	-683758	34538	1502662
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	4063054	4489840	5753916

შპს ჯი ბი ჯი
ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს ჯი ბი ჯი

მოგება-ზარალის უწყისი	2022	2021
შემოსავლები:		
შემოსავალი რეალიზაციიდან	2170860	1462708
ძირითადი საშუალების რეალიზაცია	49000	
წმინდა გაყიდვები	2219860	1462708
გაყიდული საქონლის თვითღირებულება:		
მარაგები პერიოდის დასაწყისში	515160	727623
შესყიდვების ხარჯები	1273808	972241
მარაგები პერიოდის ბოლოს	120221	515160
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	1668747	1184704
საერთო მოგება	551113	278004
საოპერაციო ხარჯები		
სახელფასო ხარჯები	300799	264587
იჯარა	23863	30731
საწვავი	69 427,35	52040
სხვა ხარჯი	421326,35	794879
მთლიანი საოპერაციო ხარჯები	815415,7	1142237
საოპერაციო მოგება	-264303	-864233
ცვეთა და ამორტიზაცია	-205872	-160237
საპროცენტო ხარჯი	-546455	-320801
შემოსავალი საკურსო სხვაობიდან	304672	0
სხვა ჯარიმები	-6339	-3245
წმინდა მოგება (ზარალი)	-718297	-1348515

1. ზოგადი ინფორმაცია

ა) საქართველოს ბიზნეს გარემო

შპს „შპს ჯი ბი ჯი“ საქმიანობას ახორციელებს საქართველოში შესაბამისად კომპანია მოქცეულია საქართველოს ეკონომიკური და ფინანსური ბაზრის გავლენის ქვეშ, რომელიც ხასიათდება განვითარებადი ბაზრის ნიშნებით. საგადასახადო, იურიდიული საკანონმდებლო ნორმატიული აქტები აგრეთვე მარეგულირებელი ორგანოები განიცდიან რეფორმებს და ხშირ ცვლილებებს რაც დამატებით გამოწვევების წინაშე აყენებს საქართველოში მოქმედ იურიდიულ პირებს. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის შეფასებას, საქართველოს ბიზნეს გარემოს კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენის შესახებ. სამომავლოდ შეიძლება ბიზნეს გარემო განსხვავებული იყოს ხელმძღვანელობის შეფასებისგან.

ბ) ორგანიზაცია და საქმიანობა

„შპს ჯი ბი ჯი“ - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება;

საიდენტიფიკაციო კოდი - 4001578978;

რეგისტრაციის თარიღი - 01/12/2015;

იურიდიული მისამართი - თბილისი, გლდანის IV მ/რ, კორ. 110ბ, ბ. 78;

კომპანიის დამფუძნებელი - ალექსანდრე მეტრეველი (01001017335) – 100%

დირექტორი - ალექსანდრე მეტრეველი (01001017335);

შპს „ჯი ბი ჯი“-ის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობა დაკავშირებულია მშენებლობასთან.

საანგარიშგებო პერიოდში კომპანიის მიერ შესრულებული სამშენებლო პროექტები თითქმის სრულად წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში გაწეულ მომსახურებას.

2. მომზადების საფუძვლები

შესაბამისობა

ორგანიზაციის თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“ (ფასს) მიხედვით.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით.

საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან ის ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებსა და სამოქმედო გარემოში მომხდარ ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილი ლარებში დამრგვალებულია ათასამდე თუ სპეციალურად სხვა რამ არ არის აღნიშნული.

შეფასებებისა და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისთვის კომპანიის ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილ აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენის თარიღისთვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შემოსავლებსა და ხარჯებზე.

ყველა ასეთი მნიშვნელოვანი შეფასება განხილული იქნება ქვემოთ შენიშვნებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები.

კომპანიის მიერ გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ და ის უცვლელია ყველა წელს.

ფინანსური ინსტრუმენტები

ა) ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“ მე-11 და მე-12 განყოფილებების მოთხოვნების შესაბამისად.

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს. საწარმო ყველა ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტის აღრიცხვისთვის გამოიყენებს ამორტიზებული ღირებულების მოდელს, გარდა არაკონვერტირებად პრივილეგირებულ აქციებსა და არადაბრუნებად ჩვეულებრივ ან პრივილეგირებულ აქციებში განხორციელებული ინვესტიციებისა, ასეთი კომპანიას არ გააჩნია.

როდესაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება პირველად აღიარდება, საწარმო მათ აფასებს გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით), თუ შეთანხმება, თავისი არსით, არ წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმომ ფინანსურ ინსტრუმენტებს აფასებს შემდეგნაირად:

- სავალო ინსტრუმენტები, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით
- სესხის მიღების ვალდებულება ფასდება თვითღირებულებით, გაუფასურების თანხის გამოკლებით.

საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

(ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;

(ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან

გ) საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას.

საწარმო ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილის) აღიარებას წყვეტს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ძირითადი საშუალებები

საწარმო ძირითადი საშუალებების ღირებულებას აქტივად აღიარებს მხოლოდ იმ შემთხვევაში როდესაც:

ა) მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და

ბ) საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

საწარმო ძირითად საშუალებებს თავდაპირველი აღიარებისას აფასებს თვითღირებულებით. თავდაპირველი შეფასების შემდეგ საწარმო ძირითად საშუალებებს აღრიცხავს დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით. გადაფასების მოდელი გამოყენებული არ არის.

ცვეთის დარიცხვა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხდება წრფივი მეთოდით, აქტივის სასარგებლო მომსახურების ავდის გათვალისწინებით. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ როდესაც აქტივი შედის გამოყენებაში.

საწარმო ძირითადი საშუალების აღიარებას წყვეტს:

(ა) გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში; ან

(ბ) როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით, შემდეგ ფასდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგის ღირებულება ეფუძნება საშუალო შეწონილ პრინციპს და მოიცავს დანახარჯებს მარაგების შეძენაზე, წარმოებასა და გადამუშავებაზე და პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია მარაგების მოცემულ ადგილსა და მოცემულ მდგომარეობაში მისაწოდებლად. ბიზნესის ჩვეულებრივად ფუნქციონირების პირობებში ნეტო სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს მოსალოდნელ სარეალიზაციო ღირებულებას, გამოკლებული დასრულების და გაყიდვის ხარჯები.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო მოთხოვნები

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, შემდგომში ისინი საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზირებული ღირებულებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშობა მაშინ როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება რომ კომპანია ვერ შეძლებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

დაბეგვრა

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში მოქმედებს მოგების გადასახადის ახალი მოდელი. ამ მოდელის მთავარი ცვლილება არის ის რომ მოგების გადასახადის გადახდა ხდება დაგროვილი მოგების განაწილებისას. საანგარიშგებო პერიოდი წლის ნაცვლად გახდა თვე. გადასახადის განაკვეთი დარჩა იგივე - 15%. მოგების გადასახადით განაწილებულ მოგებასთან ერთად იბეგრება - სხვაობა კონტრაქტის ღირებულებასა და საბაზრო ფასს შორის; ხარჯები, რომლებიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან; საჩუქრები; წარმომადგენლობითი ხარჯები ლიმიტს ზემოთ.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის სპეციფიკიდან გამომდინარე, საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც დასრულდა 2016 წლის შემდეგ, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი განისაზღვრება წესდებით, ყოველი ცვლილება წესდებაში ხორციელდება კომპანიის დამფუძნებლების მიერ.

დაგროვილი მოგება მოიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების მოგებას/ზარალს.

დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა.

ვალდებულებები

კომპანიას სააღრიცხვო მიზნებისთვის გამიჯნული აქვს გრძელვადიანი და მოკლევადიანი ვალდებულებები.

ამონაგები

საწარმო ამონაგები აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. რომელიც მცირდება ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობით, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობებით.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:

(ა) საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

(ბ) საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;

(გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;

(დ) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და

(ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

საწარმო მომსახურების ოპერაციასთან დაკავშირებულ ამონაგებს აღიარებს ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება.

საწარმო თუ შესაძლებელია სამშენებლო ხელშეკრულების შედეგის საიმედოდ შეფასება, სამშენებლო ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ ამონაგებს და ხარჯებს აღიარებს სახელშეკრულებო სამუშაოების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ხარჯების აღიარება

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. ხელფასები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები აღიარდება იმ წელს, როდესაც თანამშრომელმა გასწია შესაბამისი მომსახურება.

უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები

ფინანსური მდგომარეობაში წარმოდგენილი მუხლები შეფასებულია იმ ეკონომიკურ გარემოში ავალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაციახდება ანგარიშსწორების წარდგენის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალში. არსებული ვალუტით რომელშიც ოპერირებს კომპანია - ქართულ ლარში. უცხოურ

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

აქტივები

1. ფული და ფულის ექვივალენტები

31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის ორგანიზაციას გააჩნია 5255 ლარი ფულადი ნაშთი, საიდანაც 4571 ლარი წარმოადგენს საბანკო ანგარიშზე არსებულ გამოყენებად ფულად სახსრებს, ხოლო 684 ლარი სალაროში არსებულ ნაღდი ფულის ნაშთს.

2. სავაჭრო მოთხოვნები

მიწოდებასთან დაკავშირებული სავაჭრო მოთხოვნა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფიქსირდება 311906 ლარი. ამ მოთხოვნის ძირითადი ნაწილი წარმოადგენს პერიოდის დებიტორული დავალიანების ნაშთს.

3. სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები

ამ მუხლში გაერთიანებულია მომწოდებლებზე წინასწარ გადახდილი თანხები და პარტნიორ ორგანიზაციაზე სესხად გაცემული ფულადი სახსრები.

4. მარაგები

მარაგები შედგება მზა პროდუქციისგან, სამშენებლო ნედლეულისა და მასალისაგან.

მზა პროდუქციის ნაწილში აღრიცხულია საკუთარი წარმოების საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების უძრავი ქონება, რომლის რეალიზაციაც მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში ჯერ არ მომხდარა;

5. სხვა მოკლევადიანი აქტივი

ეს მუხლი ასახავს დაგროვილ დარიცხულ და მისაღებ სარგებელს.

6. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს უძრავი ქონება; მიწა, საოფისე და კომერციული დანიშნულების ფართები.

ორგანიზაციის ბალანსზე ირიცხება ასევე რამოდენიმე ერთეული სატრანსპორტო საშუალება, საოფისე და სამშენებლო ინვენტარი.

ვალდებულებები

7. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები 188058 ლარის ოდენობით სრულად არის დაკავშირებული შესყიდულ მომსახურებებთან და მიღებულ სასაქონლო მარაგებთან.

8. საგადასახადო ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებები მოიცავს გადასახდელ დღგ-სა და ქონების გადასახადს რომელიც წარმოიშვა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ხოლო გადახდა მოხდა შემდგომ პერიოდში.

ამ მუხლით საგადასახადო ვალდებულება ჯამში შეადგენს 69967 ლარს.

9. გამოუმუშავებელი შემოსავალი

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ამ მუხლით განსაზღვრული შემოსავლის ნაშთი უდრის 253398 ლარს.

10. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

ეს მუხლი სრულად მოიცავს სს „ტერა ბანკი“-ს მიერ გაცემულ გრძელვადიან ბიზნეს სესხს.

საანგარიშგებო პერიოდში ორგანიზაციის საკრედიტო ვალდებულება გაზრდილია და პერიოდის ბოლოს შეადგენს 4235389 ლარს.

11. სხვა ვალდებულებები

ეს არის პარტნიორის მიერ სხვადასხვა პერიოდში სესხის სახით შემოტანილი საკუთარი ფულადი სახსრების გამოყენებისათვის დარიცხული და გაუცემელი საპროცენტო სარგებელი.

12. საკუთარი კაპიტალი

საკუთარი კაპიტალის ძირითადი ნაწილი არის დაგროვილი მოგება. დაგროვილი მოგება წარმოქმნილია წინა პერიოდებში მიღებული მოგებისგან. კომპანია მოგების გადასახადით ბეგრავს ისეთ ხარჯებს, რომელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან და შესაბამისად ამცირებს გასანაწილებელ მოგებას, რაც ჩანს კაპიტალის მოძრაობის უწყისში.

13. ამონაგები

ამონაგები სრულადშედგება სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში შესრულებული პროექტებიდან მიღებული შემოსავლისაგან;

14. ხარჯები

კომპანიის ყველა ხარჯი წარმოადგენს მისი ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში გაწეულ ხარჯებს.

ესენია: მიღებული მომსახურება, შესყიდული ნედლეული და მასალა, პერსონალის ხელფასი, დაქირავებული ფიზიკური პირების მიერ გაწეული მომსახურება, ბალანსზე არსებული უძრავი და მოძრავი ქონების მოვლა-შენახვა.

გარდა ამისა გაწეულია მცირე საოფისე და სამეურნეო ხარჯი, რაც ასევე ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში არსებული ვალდებულებების შესრულების პროცესს უკავშირდება.

ცვეთა. მიწას ამორტიზაცია არ ერიცხება. მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, საანგარიშო სასარგებლო გამოყენების ვადებში ნარჩენ ღირებულებაზე მათი ღირებულების განაწილებით:

ძირითადი საშუალების დასახელება	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
მიწის ნაკვეთები	ცვეთა არ ერიცხება
სატრანსპორტო საშუალებები	5-10
მანქანა-დანადგარები	3-10
შენობა-ნაგებობები და სხვა	5-20

საანგარიშგებო პერიოდის ცვეთა-ამორტიზაციის ხარჯმა ჯამში 205872 ლარი შეადგინა **პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები**

ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, კომპანიის მიმართ შეიძლება წარმოდგენილი იყოს მოთხოვნები, რომლის აღიარებაც ანგარიშგების თარიღისათვის ჯერ არ მომხდარა.

თუმცა, კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ მიერ სრულად და დროულად ხდება კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა ვალდებულების აღიარება/გადახდა და ანგარიშგების გამოცემის თარიღისათვის არ გააჩნიათ ინფორმაცია მოსალოდნელი მოთხოვნის თაობაზე, რომელმაც შესაძლებელია გავლენა იქონიოს კომპანიის არსებულ ფინანსურ მდგომარეობაზე.

შემდგომი მოვლენები

ფინანსური ანგარიშგების გამოცემის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან მოვლენას, რაც მოითხოვდა ანგარიშგების კორექტირებას ან ცალკეულ განმარტებას - ადგილი არ ჰქონია.

შპს ჯი ბი ჯი
ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	5255	840780	47228
სავაჭრო მოთხოვნები	311906	317079	1664561
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	1097188	802729	2392012
მარაგები	120220	515160	727623
სხვა მიმდინარე აქტივები	645409	15161	10
სულ მოკლევადიანი აქტივები	2179978	2490909	4831434
გრძელვადიანი აქტივები			
მიწის ნაკვეთები	24794	24794	24794
შენობები	1457891	1583231	561179
მანქანა-დანადგარები	222030	186570	158679
ოფისის აღჭურვილობა	17622	28664	26304
სატრანსპორტო საშუალებები	133990	133325	126261
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	26748	42346	25263
სულ გრძელვადიანი აქტივები	1883075	1998931	922482
სულ აქტივები	4063054	4489840	5753916
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	188058	47474	28214
საგადასახადი ვალდებულებები	69967	47059	50020
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	4235389	4200820	3524679
გამოუმუშავებელი შემოსავალი	253398	157914	648341
სხვა ვალდებულებები	0	2035	0
სულ ვალდებულებები	4746812	4455302	4251254
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	-683758	34538	1502662
სულ საკუთარი კაპიტალი	-683758	34538	1502662
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	4063054	4489840	5753916

შპს „ჯი ბი ჯი“-ს
დირექტორი

ა. მეტრეველი

/ა. მეტრეველი/

შპს ჯი ბი ჯი
ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მოგება-ზარალის უწყისი	2022	2021
შემოსავლები:		
შემოსავალი რეალიზაციიდან	2170860	1462708
ძირითადი საშუალების რეალიზაცია	49000	
წმინდა გაყიდვები	2219860	1462708
გაყიდული საქონლის თვითღირებულება:		
მარაგები პერიოდის დასაწყისში	515160	727623
შესყიდვების ხარჯები	1273808	972241
მარაგები პერიოდის ბოლოს	120221	515160
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	1668747	1184704
საერთო მოგება	551113	278004
საოპერაციო ხარჯები		
სახელფასო ხარჯები	300799	264587
იჯარა	23863	30731
საწვავი	69 427,35	52040
სხვა ხარჯი	421326,35	794879
მთლიანი საოპერაციო ხარჯები	815415,7	1142237
საოპერაციო მოგება	-264303	-864233
ცვეთა და ამორტიზაცია	-205872	-160237
საპროცენტო ხარჯი	-546455	-320801
შემოსავალი საკურსო სხვაობიდან	304672	0
სხვა ჯარიმები	-6339	-3245
წმინდა მოგება (ზარალი)	-718297	-1348515

შპს „ჯი ბი ჯი“-ს
დირექტორი



/ა. მეტრეველი/